



სსიპ შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის
გენერალური დირექტორის

ბრძანება № 87

2022 წლის 19 მაისი

ქ. თბილისი

სამეცნიერო პოპულარული, შემეცნებითი ფილმების შექმნის მხარდაჭერის კონკურსის შედეგად გამარჯვებული
პროექტების დამტკიცების შესახებ

„მეცნიერების პოპულარიზაციის“ პროგრამის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის მოადგილის 2021 წლის 29 დეკემბრის N1435044 ბრძანების, „მეცნიერების პოპულარიზაციის“ პროგრამის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის მოადგილის 2021 წლის 29 დეკემბრის N1435044 ბრძანებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ 2022 წლის 23 თებრვლის N187693 ბრძანებით დამტკიცებული მე-2 ქვეპროგრამის მე-4 მუხლის მე-2 პუნქტის „ე“ ქვეპუნქტის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის დაფუძნებისა და მისი წესდების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 28 ივლისის N62/ნ ბრძანებით დამტკიცებული წესდების მე-5 მუხლის მე-2 პუნქტის „ე“ ქვეპუნქტის საფუძველზე და სსიპ შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის მეცნიერების პოპულარიზაციის სამსახურის სპეციალისტის 2022 წლის 19 მაისის სამსახურებრივი ბარათის (N514199) შესაბამისად,

გბრძანებ:

1. დამტკიცდეს სამეცნიერო პოპულარული, შემეცნებითი ფილმების შექმნის მხარდაჭერის კონკურსის შედეგად გამარჯვებული პროექტები ამ ბრძანების დანართი ერთის შესაბამისად
2. გამარჯვებული პროექტების ავტორებმა დაფინანსების ხელშეკრულების გასაფორმებლად არაუგვიანეს 2022 წლის 10 ივნისს სსიპ შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნულ სამეცნიერო ფონდში (შემდგომში - ფონდი) უნდა წარმოადგინონ:
 - ა) კომისიის კომენტარების მიხედვით რედაქტირებული სცენარის საბოლოო/სრულყოფილი ვარიანტი;
 - ბ) იურიდიული პირის ანგარიშის რეკვიზიტები - ამ პროექტისათვის გახსნილი ლარის საბანკო/სახაზინო ანგარიშის ნომერი, რომელზეც გამარჯვების შემთხვევაში ჩაირიცხება დაფინანსების თანხა და ცნობა ბანკიდან, რომ აღნიშნულ ანგარიშზე არ დაირიცხება სარგებელი;
 - გ) ცნობა იმის შესახებ, რომ იურიდიულ პირს არ გააჩნია დავალიანება სახელმწიფო ბიუჯეტის წინაშე (2022 წლის მდგომარეობით).
3. დაევალოს ფონდის ადმინისტრაციულ და იურიდიულ დეპარტამენტს გამარჯვებული პროექტების წარმდგენებთან დაფინანსების ხელშეკრულების გაფორმება მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად არაუგვიანეს 2022 წლის 15 ივლისისა;
4. დაევალოს ფონდის მეცნიერების პოპულარიზაციის სამსახურს წინამდებარე ბრძანების განთავსება ფონდის ვებგვერდზე;
5. ბრძანება ძალაშია გამოქვეყნებისთანავე.
6. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს მისი ძალაში შესვლიდან ერთი თვის ვადაში თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მის: ქ. თბილისი, დ. აღმაშენებლის ხეივანი მე-12 კმ. №64).

ერეკლე ასტახიშვილი

გენერალური დირექტორის მოვალეობის შემსრულებელი

დანართი N1

დამტკიცებულია სსიპ შოთა რუსთაველის საქართველოს
ეროვნული სამეცნიერო ფონდის გენერალური დირექტორის
2022 წლის ¹⁹----- მაისის N-⁸⁷----- ბრძანებით

2022 წლის სამეცნიერო პოპულარული, შემეცნებითი ფილმების შექმნის მხარდაჭერის კონკურსი გამარჯვებული პროექტები		
N	შიფრი	პროექტის სათაური
1	SPF-22-188	კოლხებისა და „ოქრის საწმისის“ ნამდვილი ამბავი
2	SPF-22-164	განწყობის ეფექტი
3	SPF-22-124	13 ასურელი მამა
4	SPF-22-291	პირველი წიგნი-ნიკიფორე ირბახი და ფრანჩესკო მარია მაჯო